25/11/2025

MES 2 25 0001675029

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 11.11.2025
სხდომის დაწყების დრო: 14:00
სხდომის დასრულების დრო: 15:30
სხდომის თავმჯდომარე: ქეთევან აფთარაშვილი
საბჭოს მდივანი: ციური დურული

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ქეთევან აფთარაშვილი** - შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
2. **ბონდო გასვიანი -** შპს - საქართველოს ეროვნული უნივერისტეტი სეუს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

3. **დავით კაპანაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
4. **თამარ ზარანდია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
5. **თეა მჭედლური -** შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის“ ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;
6. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი.
7. **მზია წიკლაური -** შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
8. **ნარგულ ასანიძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
9. **ქეთევან ნანობაშვილი -**შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
10. **ციური დურული -** სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
11. **ნათია იორდანიშვილი -** საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე;
12. **ვლადიმერ ადეიშვილი -**სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
13. **მაქსიმ იავიჩი -** შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი;
14. **ქრისტინე ახალაძე** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

- ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე
- ანი ბილანიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

- პოლკოვნიკი ზურაბ ზერეკიძე - აკადემიის რექტორის მოადგილე;
- თამარ რემიშვილი - აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
- სოფიო ფაჩულია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ექსპერტი;
- ნათია მაისურაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ექსპერტი;
- ვიცე-პოლკოვნიკი თეიმურაზ ნიკოლაიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ოფიცერი;
- ვიცე-პოლკოვნიკი რუსლან დარჩიძე - ბაკალავრიატის ხელმძღვანელი;

- ნანა მდინარაძე - ბაკალავრიატის ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
- რომეო გალდავა - ინფორმატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პროფესორი/პროგრამის ხელმძღვანელის მ.შ.

აკრედიტაციის ექსპერტები

- ია მოსაშვილი;
- ლია კურტანიძე;
- თინათინ გაბრიჩიძე;
- დავით ტეფნაძე.

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა ქეთევან აფთარაშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის „ინფორმატიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;
2. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "სურსათის ტექნოლოგიის" საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხი.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
• კი
ცენტრის წარმომადგენელმა, ანი ბილანიშვილმა, საბჭოს გააცნო შუამდგომლობა. აგრარულმა უნივერსიტეტმა საბჭოს მიმართა თხოვნით, რომ მათი საკითხის განხილვა გადადებულიყო, რათა შესაძლებელი ყოფილიყო პროგრამის განმახორციელებლების დასწრება განხილვაზე. მოთხოვნა ცენტრმა დააკმაყოფილა და საბჭოზე განსახილველი რიგით მეორე საკითხი გადაიდო შემდგომი სხდომისთვის.
ასევე, დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჟვანიამ საბჭოს გააცნო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შუამდგომლობა „ეკოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის დასახელებასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს №645447 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებასთან დაკავშირებით.
მესამე შუამდგომლობა კი ეხებოდა აკრედიტაციის ვადების ცვლილებას შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

- სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო პროგრამა;
- შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის’ საბაკალავრო პროგრამა;

- ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „საერთაშორისო სამართლი (ინგლისურენოვანი)“ სამაგისტრო პროგრამა;
- სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ სადოქტორო პროგრამა;
- ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის" „სამართლის“ საბაკალავრო პროგრამა;
- შპს - ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო პროგრამა;
- შპს ,,ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის” „სამართლის“ საბაკალავრო პროგრამა;
- შპს - ევროპის უნივერსიტეტის „კერძო სამართლის“ სამაგისტრო პროგრამა;
- სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის „სამართლის“ საბაკალავრო პროგრამა.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის „ინფორმატიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს №645447, 29/06/2021 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხის განხილვა.
3. 0421 სამართლის ვიწრო სფეროს სწავლის სფეროების საგანმანათლებლო პროგრამების, რომელთაც აკრედიტაცია მიენიჭათ 2022 წლის 01 ივნისის შემდეგ კლასტერის ვადით, აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებებში ცვლილებების საკითხის განხილვა.

1. პირველი საკითხი:
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის „ინფორმატიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა მზია წიკლაურმა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტმა წერილობითი სახით წარმოადგინა ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია. მან მადლობა გადაუხადა პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და დამსაქმებლებს პროდუქტიული და კარგად ორგანიზებული ვიზიტისთვის, ასევე კოლეგიალური და კეთილგანწყობილი გარემოსთვის. მონაწილეებმა გამოავლინეს ძლიერი პასუხისმგებლობა და ვალდებულება ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებისა და პროგრამის უწყვეტი გაუმჯობესების მიმართ. აკადემიამ უზრუნველყო წვდომა საჭირო ინფორმაციაზე და ასევე, უზრუნველყო ღია დიალოგი, რამაც მნიშვნელოვნად გაამარტივა შეფასების პროცესი. პროგრამა შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან, გამონაკლისია მხოლოდ მეხუთე სტანდარტის 5.1 კომპონენტი, შიდა ხარისხის შეფასება, რომელიც შეფასებულია „მეტწილი შესაბამისობით“. ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, თუმცა შესაძლებელია მათი როლის გაძლიერება პროგრამის უწყვეტი გაუმჯობესების მიმართულებით. ექსპერტთა ჯგუფმა გასცა ერთადერთი რეკომენდაცია. კერძოდ, რეკომენდებულია, პროგრამის უწყვეტი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად გაძლიერდეს თვითშეფასების პროცესისა და შიდა შეფასების როლი. ეს განავითარებს პროგრამის ხარისხსა და PDCA ციკლის განხორციელებას. ასევე, ექსპერტებმა ჩამოაყალიბეს რამდენიმე რჩევა, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს პროგრამას. სასურველია, შეფასების პროცესის გასაძლიერებლად, სწავლის შედეგების შეფასების პროცესში გამოყენებულ იქნას კირკ-პატრიკის შეფასების მოდელი; სასურველია, შემუშავდეს სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის ყოველწლიური გადახედვის და განახლების პოლიტიკა; სასურველია პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება დამატებითი დარგობრივი კურსებისა და ლაბორატორიული სამუშაოების ჩართვის გზით; სასურველია, გაძლიერდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი და განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდეს ინფორმატიკის სფეროს აკადემიური პერსონალის მობილობის შესაძლებლობების გაუმჯობესებაზე; სასურველია, შემუშავდეს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მოპოვებული მრავალმხრივი მონაცემების და ინფორმაციის გაერთიანების მკაფიო მითითებები, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას.
ექსპერტთა მოსაზრებით, აღნიშნული ქმედებები გააძლიერებს პროგრამის საფუძველს და ხელს შეუწყობს მის გაუმჯობესებას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
თამარ რემიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ექსპერტებს მიაწოდა არგუმენტირებული პოზიცია. ინსტიტუცია იზიარებს იმას, რომ უნდა იყოს ის სუსტი მხარე დაფიქსირებული, რაზეც აქცენტი გაკეთდა ექსპერტთა მხრიდან. ერთადერთი მიზეზი იმისა თუ რატომ არ დაფიქსირდა სუსტი მხარე ადმინისტრაციის მხრიდან იყო ის, რომ დაწესებულებამ ამ პერიოდში სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში უამრავი აკრედიტაცია/ავტორიზაცია გაიარა. საბოლოოდ კი, დაწესებულება ეთანხმება ექსპერტთა შეფასებასა და სრულიად იზიარებს მას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ირინა ლობჟანიძემ მეოთხე სტანდარტთან მიმართებით კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს. მან აღინიშნა, რომ დასკვნის მერვე გვერდზე არის მითითებული თუ რამდენი ადამიანი არის ჩართული პროგრამის განხორციელებაში და იქ აღნიშნულია, რომ 14 აკადემიური პერსონალი არის ჩართული, 8 აკადემიური პერსონალიდან 7 ფლობს დოქტორის ხარისხს, რვა მოწვეულიდან კი - 2. ამავე დასკვნის 47-ე გვერდზე არის ცხრილი პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალისა, სადაც ფაქტობრივად, არცერთს არ უდასტურდება დოქტორის ხარისხი. მას სურდა ამ საკითხის დაზუსტება ექსპერტთა მხრიდან. ასევე, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესორების და მოწვეული პერსონალის უმეტესობას არ აქვს

დოქტორის ხარისხი დარგობრივი მიმართულებით, რაც ასევე პრობლემურ საკითხად შეიძლება იყოს მიჩნეული.
ია მოსაშვილმა განმარტა, რომ მეოთხე სტანდარტთან მიმართებით ტექნიკური ხარვეზია ცხრილში, რადგან მისი რედაქტირება მოხდა ბოლო ეტაპზე. დოქტორის ხარისხი ნამდვილად ჰქონდა პერსონალს და ექსპერტმა სთხოვა საბჭოს, რომ ნარატივში მითითებული ინფორმაცია გაეთვალისწინებინათ.
ირინა ლობჯანიძეს, ასევე, აინტერესებდა, პროგრამაში ჩართული პერსონალიდან დარგობრივი მიმართულებით კონკრეტულად რამდენს ჰქონდა დოქტორის ხარისხი.
ზურაბ ზერეკიძემ აღნიშნა, რომ 8 აკადემიური პერსონალიდან მხოლოდ ერთს არ აქვს დოქტორის ხარისხი და ის არის აყვანილი, როგორც დარგის სპეციალისტი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:26
დასრულების დრო: 14:35

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის „ინფორმატიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის „ინფორმატიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 11 ნოემბრამდე.

2. მეორე საკითხი:
სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს №645447, 29/06/2021 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხი.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
ირინა ლობჟანიძე; ბონდო გასვიანი.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ნინო ჟვანიამ საბჭოს გააცნო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შუამდგომლობა. დაწესებულებას სურდა პროგრამის კვალიფიკაციის დასახელების კორექტირება.

აღნიშნა, რომ სსიპ ილიას - სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კვალიფიკაციის სახელწოდებაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი. კერძოდ, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებაში მითითებული იყო კვალიფიკაცია - "მეცნიერებების მაგისტრი ეკოლოგიაში", ნაცვლად კვალიფიკაციისა - "მეცნიერების მაგისტრი ეკოლოგიაში". აღნიშნული ხარვეზი გასწორებულია სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ეკოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილ ანგარიშში, რომელიც ცნობად იქნა მიღებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 20 სექტემბრის სხდომაზე (სხდომის ოქმი: №1125324).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

დაკმაყოფილდეს შუამდგომლობა და "სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს №645447, 29/06/2021 გადაწყვეტილებაში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, კვალიფიკაციის დასახელებაში მიეთითოს ,,მეცნიერების მაგისტრი ეკოლოგიაში“.

მესამე საკითხი - 0421 სამართლის ვიწრო სფეროს სწავლის სფეროების საგანმანათლებლო პროგრამების, რომელთაც აკრედიტაცია მიენიჭათ 2022 წლის 01 ივნისის შემდეგ კლასტერის ვადით, აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებებში ცვლილებების საკითხის განხილვა.

ცენტრის თანამშრომელმა, ანი ბილანიშვილმა ისაუბრა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული აკრედიტაციის ვადებზე და საკანონმდებლო საფუძველზე. აღნიშნა, რომ ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 30 ივნისის №739910 და №739908 ბრძანებებით დამტკიცებულია ,,2022 წლის 01 ივნისის მდგომარეობით აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების მიერ 2022–2028 წლებში ხელახალი აკრედიტაციის გავლის ეტაპები" და ,,2022–2028 წლებში ხელახალი აკრედიტაციის ვადების განსაზღვრის მიზნით, 2022 წლის 01 ივნისის მდგომარეობით აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი", რომლის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული აკრედიტაციის ვადები დამოკიდებულია "სწავლის სფეროების კლასიფიკატორის" სწავლის სფეროებზე.

აღნიშნულ ბრძანებებში ერთხელ უკვე განხორციელდა ცვლილება ჰუმანიტარული მეცნიერებების პროგრამების ვადების განსაზღვრის ნაწილში (ცვლილება ბრძანებებში - №146051 და №146046, 08/02/2023, №1186493 და №1286883, 07/10/2024, №1595816 და №1595814, 10/12/2024).

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე ეტაპზეც, ცენტრის ინიცირებით კვლავ განხორციელდა მიზნობრივი ცვლილებები. კერძოდ, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 31 ოქტომბრის №1461326 და №1463409 ბრძანებების შესაბამისად, ცვლილებები შევიდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 30 ივნისის №739910 და №739908 ბრძანებებში, რომლის თანახმად, სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებული 0421 სამართლის სწავლის სფეროების პროგრამებისთვის ხელახალი აკრედიტაციის ვადები განისაზღვრა - 2026 წლის 31 დეკემბერი. აღნიშნული ინფორმაცია კომპეტენციის ფარგლებში ასახვისთვის ასევე გაეგზავნა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას.

თუმცა, აღნიშნული ცვლილება მინისტრის ბრძანებით არ შეხებია 2022 ივნისის შემდეგ კლასტერის ვადით აკრედიტებულ სამართლის საგანმანათლებლო პროგრამებს, ანუ მას შემდეგ, რაც დამტკიცდა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის ხელახალი აკრედიტაციის ეტაპები და საგანმანათლებლო პროგრამების ვადები. ამიტომ, ცენტრმა, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან კოორდინაციის შედეგად, მოახდინა იმ საგანმანათლებლო პროგრამების იდენტიფიცირება, რომლებსაც აკრედიტაცია მიენიჭათ 2022 წლის 1 ივნისის შემდეგ კლასტერის ვადით და რომელთა სწავლის სფეროები წარმოდგენილია 0421 ვიწრო სფეროებში.
ამ პროგრამების აკრედიტაციის ვადის გახანგძლივებაზე უფლებამოსილია აკრედიტაციის საბჭო.
ანი ბილანიშვილმა სთხოვა საბჭოს წევრებს, ემსჯელათ საკითხთან დაკავშირებით შესაბამის გადაწყვეტილებებში ცვლილების განხორციელების თაობაზე და საჭიროების, შემთხვევაში შეეძლო შესაბამის კითხვებზე პასუხი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს №335739, 2023.03.09
გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანისა და აკრედიტაციის გასვლის ვადად 2026 წლის 31 დეკემბრის განსაზღვრის საკითხი.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14;
წინააღმდეგი - 0;

გადაწყვეტილება: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, "განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 32^2 მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 31 ოქტომბრის №1461326 ბრძანების გათვალისწინებით, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

№335739 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება და საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ვადა განისაზღვროს 2026 წლის 31 დეკემბერი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს №1172271, 2022.09.13 გადაწყვეტილებებში ცვლილების შეტანისა და აკრედიტაციის გასვლის ვადად 2026 წლის 31 დეკემბრის განსაზღვრის საკითხი.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14;
წინააღმდეგი - 0;

გადაწყვეტილება: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, "განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 32^2 მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 31 ოქტომბრის №1461326 ბრძანების ბ რძანების გათვალისწინებით, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს №1172271 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება და საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ვადა განისაზღვროს 2026 წლის 31 დეკემბერი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „საერთაშორისო სამართლის (ინგლისურენოვანი)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს №338107, 2023.03.06 გადაწყვეტილებებში ცვლილების შეტანისა და აკრედიტაციის გასვლის ვადად 2026 წლის 31 დეკემბრის განსაზღვრის საკითხი.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14;
წინააღმდეგი - 0;

გადაწყვეტილება: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, "განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 32^2 მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 31 დეკემბრის №1461326 ბრძანების გა

თვალისწინებით, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს №338107 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება და საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ვადა განისაზღვროს 2026 წლის 31 დეკემბერი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 28 თებერვლის №463147 გადაწყვეტილებებში ცვლილების შეტანისა და აკრედიტაციის გასვლის ვადად 2026 წლის 31 დეკემბრის განსაზღვრის საკითხი.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

- **ირინა ლობჟანიძე**
- **ბონდო გასვიანი**

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12;
წინააღმდეგი - 0;

გადაწყვეტილება: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, "განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 32^2 მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 31 დეკემბრის №1461326 ბრძანების გა თვალისწინებით, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 28 თებერვლის №463147 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება და საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ვადა განისაზღვროს 2026 წლის 31 დეკემბერი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის" „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს №337409, 2023.03.09 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანისა და აკრედიტაციის გასვლის ვადად 2026 წლის 31 დეკემბრის განსაზღვრის საკითხი.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14;
წინააღმდეგი - 0;

გადაწყვეტილება: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, "განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 32^2 მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს განათლების,

მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 31 დეკემბრის №1461326 ბრძანების გა თვალისწინებით, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს №337409 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება და საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ვადა განისაზღვროს 2026 წლის 31 დეკემბერი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს - ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს №563495, 2024.05.21 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანისა და აკრედიტაციის გასვლის ვადად 2026 წლის 31 დეკემბრის განსაზღვრის საკითხი.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14;
წინააღმდეგი - 0;

გადაწყვეტილება: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, "განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 32^2 მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 31 დეკემბრის №1461326 ბრძანების გა თვალისწინებით, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს №563495 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება და საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ვადა განისაზღვროს 2026 წლის 31 დეკემბერი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს ,,ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის” „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს №409476, 2023.03.28 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანისა და აკრედიტაციის გასვლის ვადად 2026 წლის 31 დეკემბრის განსაზღვრის საკითხი.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14;
წინააღმდეგი - 0;

გადაწყვეტილება: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, "განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 32^2 მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 31 ოქტომბრის №1461326 ბრძანების გ

ათვალისწინებით, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს №409476 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება და საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ვადა განისაზღვროს 2026 წლის 31 დეკემბერი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს - ევროპის უნივერსიტეტის „კერძო სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს №414629, 2025.02.14 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანისა აკრედიტაციის გასვლის ვადად 2026 წლის 31 დეკემბრის განსაზღვრის საკითხი.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14;
წინააღმდეგი - 0;

გადაწყვეტილება: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, "განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 32^2 მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 31 ოქტომბრის №1461326 ბრძანების გ ათვალისწინებით, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს №414629 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება და საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ვადა განისაზღვროს 2026 წლის 31 დეკემბერი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს №440599, 2024.04.02 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანისა აკრედიტაციის გასვლის ვადად 2026 წლის 31 დეკემბრის განსაზღვრის საკითხი.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

- ქეთევან ნანობაშვილი
- მზია წიკლაური

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12;
წინააღმდეგი - 0;

გადაწყვეტილება: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, "განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 322 მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 31 ოქტომბრის №1461326 ბრძანების გ

ათვალისწინებით, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს №440599 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება და საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ვადა განისაზღვროს 2026 წლის 31 დეკემბერი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ სხდომა გამოცხადდა დახურულად 15:30 საათზე.

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის მდივანი
დურული ციური

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
აფთარაშვილი ქეთევან